GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო სამართლის მაგისტრი/ Master of International Law

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

სწავლების ენა: ინგლისური

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიღწევების, გამოწვევების, განვითარების ძირითადი ტენდენციების, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერების, საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპების, ასევე სამეცნიერო კვლევის იურიდიული მეთოდების, აკადემიური პატიოსნების და ეთიკის წესების, სამოსამართლო ეთიკის წესებისა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების შესახებ;
- გამოუმუშავოს უახლესი ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, საერთაშორისო სამართლის უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე საკუთარი ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების და რთული სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის უნარი;
- შესძინოს სამართლებრივი ნორმების პროფესიულ დონეზე განმარტების, საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებებისა და არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების შეფასების და ანალიზის უნარი;

- გამოუმუშავოს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალური სამეცნიერო სამართლებრივი პრობლემის განსაზღვრის და ფორმულირების, მისი გადაჭრის გზების შემუშავების, სამართლის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ორგანიზების და სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითადი წესებისა და პრინციპების უნარი;
- გამოუმუშავოს როგორც პროფესიულ, ისე არაპროფესიულ აუდიტორიასთან საკუთარი კვლევითი მიგნებების, მოსაზრებებისა და ანალიზის წერითი და ზეპირი ფორმით გაზიარების უნარი;
- გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან, რელევანტური და აქტუალური ინფორმაციის მოძიებისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; გამოუმუშავოს აკადემიური და პროფესიული ეთიკის, სამეცნიერო კვლევის შედეგების, სტანდარტების დაცვის, პროფესიული პრაქტიკისა და ღირებულებების განვითარების უნარი.

2. სწავლის შედეგები (კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს შემდეგი დარგობრივი კომპეტენციები)

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

(A) მაგისტრი აღწერს:

თანამედროვე საერთაშორისო და ეროვნული სამართლის მიღწევებს, განვითარების მთავარ მიმართულებებს, გამოწვევებსა და ხარვეზებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს, ასევე გავლენების საკითხებს (მათ შორის ეროვნული სამართლის ევროპეიზაციის საკითხებს).

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიურ მიდგომებს და პრინციპებს, აქტუალურ თემებს, ასევე იურიდიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, აკადემიური ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შედგენის პრინციპებს, სამოსამართლო ეთიკის წესებსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს;

ძირითადი საერთაშორისო შეთანხმებებით და წამყვანი იურისდიქციების მიერ ჩამოყალიბებულ და შემუშავებულ სამართლებრივი სისტემების თავისებურებებსა და მოდელებს, ასევე ამ სამართლებრივი სისტემების დინამიური განვითარებისა და მიმდინარეობის პროცესს; შედარებითი სამართლის არსსა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას.

უნარი

(B) აანალიზებს უახლეს ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, საერთაშორისო სამართლის უახლეს მეცნიერულ კვლევებს და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე დამოუკიდებლად შეიმუშავებს ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;

(C) განმარტავს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, აფასებს საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებსა და არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, აღმოაჩენს სამართლებრივ ხარვეზებსა და შეიმუშავებს რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ გზებს, ასევე განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;

(D) ამოიცნობს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას და შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზებს, დარგში არსებულ აქტუალურ საკითხებზე კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით გეგმავს სამეცნიერო კვლევით პროცესს, სხვადასხვა წყაროებიდან (მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან) მიღებული მონაცემების სისტემური დამუშავებით და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;

(E) წერითი და ზეპირი ფორმით უზიარებს პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებას საკუთარი კვლევის შედეგებს, დასკვნებსა და არგუმენტებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

(F) მაგისტრი პატივს სცემს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, აანალიზებს პროფესიის ეთიკურ, სამეცნიერო კვლევების ეთიკურ მოთხოვნებს და, საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში. აღიარებს და იცავს აკადემიური პატიოსნების წესებს, იღებს სახელმძღვანელო მითითებებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური მასალისა თუ გარემოს სამართავად. ეფექტურად იყენებს სამუშაო დროს და ახორციელებს კვლევას წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიის მიხედვით;

(G) მაგისტრი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ისწრაფვის პროფესიული ზრდისკენ, რაც გულისხმობს, როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარის გამომუშავებას. გააჩნია ცოდნის მუდმივად განახლების უნარი, პასუხისმგებლობას იღებს საკუთარი და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე. სტრატეგიული მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციური გზების გამოყენებით მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, უზიარებს საკუთარ გამოცდილებას კოლეგებს გუნდური მუშაობის ან იმიტირებული პაექრობის ფარგლებში. სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს. ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს, აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის.

3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სამართლის სფეროში;
2) საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება;
3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

(ა) სტუდენტის მიერ შევსებული აპლიკაციის ანალიზი;

(ბ) გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე), გამოცდიდან განთავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერთიფიკატს ((TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE) ან ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე;

(გ) გამოცდა სპეციალობაში, რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა არჩეულ დარგში და შეფასდეს აპლიკანტის უნარ-ჩვევები.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია - „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.

4. შედეგებისა და მიზნების რუკა

პროგრამის მიზნები	(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)
პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიღწევების, გამოწვევების, განვითარების ძირითადი ტენდენციების, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერების, საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპების, ასევე სამეცნიერო კვლევის იურიდიული მეთოდების, აკადემიური პატიოსნების და ეთიკის წესების, სამოსამართლო ეთიკის წესებისა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების შესახებ;	✓						
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს უახლესი ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, საერთაშორისო სამართლის უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე საკუთარი ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების და რთული სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის უნარი;		✓	✓				
პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს სამართლებრივი ნორმების პროფესიულ დონეზე განმარტების, საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებებისა და არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების შეფასების და ანალიზის უნარი;			✓				

პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალური სამეცნიერო სამართლებრივი პრობლემის განსაზღვრის და ფორმულირების, მისი გადაჭრის გზების შემუშავების, სამართლის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევით პროცესის ორგანიზების და სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითადი წესებისა და პრინციპების უნარი;				✓			
პროგრამის მიზანია გამოუმუშავოს როგორც პროფესიულ, ისე არაპროფესიულ აუდიტორიასთან საკუთარი კვლევითი მიგნებების, მოსაზრებებისა და ანალიზის წერითი და ზეპირი ფორმით გაზიარების უნარი;					✓		
პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან, რელევანტური და აქტუალური ინფორმაციის მოძიებისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; გამოუმუშავოს აკადემიური და პროფესიული ეთიკის, სამეცნიერო კვლევის შედეგების, სტანდარტების დაცვის, პროფესიული პრაქტიკისა და ღირებულებების განვითარების უნარი.						✓	✓

5. სწავლება-სწავლის მეთოდები:

☒ ლექცია

☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა

☒ პრაქტიკული მუშაობა

☒ სემინარი

☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☒ სხვა

სამართლის დარგობრივი მახასიათებელის დოკუმენტის გათვალისიწნებით, საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნისა და სწავლის შედეგების მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია როგორც თეორიული ცოდნის მიღებაზე, ასევე პრაქტიკული უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გამომუშავებაზე.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის სპეციფიკა, მისი მიზანები და სწავლის შედეგები.საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

6. დასაქმების სფერო:

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ, როგორც კერძო ასევე, საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც მოითხოვება საერთაშორისო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომელიც სავალდებულოა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებად, ასევე ადვოკატისა და პროკურორის ან სხვა რეგულირებული იურიდიული თანამდებობის დასაკავებლად.

პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებს და კვლევის გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას დაიწყონ ან გააგრძელონ წარმატებული კარიერა იურიდიულ სფეროში.

7. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის, მათ შორის საერთაშორისო სამართლის მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს, ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის სამაგისტრო აკადემიური ხარისხით.

8. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სტუდენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეთვლება მიღებული შუალედური და ფინალური კომპონენტის შეფასება, თუკი მიღებული ქულა კომპონენტის/კომპონენტების მაქსიმალური ქულის 30%-ს შეადგენს ან/და აღემატება.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი აუცილებლად უნდა შესრულდეს **საერთაშორისო სამართლის დარგში.** სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

9. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართში (დანართი №1).

10. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები;
კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
კომპიუტერული კლასი, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სა-მეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცუ-ლია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ

ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმი-საწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

11. პროგრამის ხელმძღვანელი:

ირაკლი სოკოლოვსკი
სამართლის დოქტორი
გურამ ფანჯიკიძის ქუჩა, N1/პეკინის გამზირი N42ა
თბილისი, 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995) 599 583 353
e-Mail: i.sokolovski@gipa.ge

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

				ECTS კრედიტი	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა

№	საგნის კოდი	დაშვების წინაპირობა	მოდული/საგანი	I წელი		II წელი		სკონტაქტო სათები	დამოუკიდ ებელი სათები[i]
				სემესტრი					
				I	II	III	IV		
			სასწავლო კომპონენტი						
			სავალდებულო სასწავლო კურსები	**30**	**6**	**15**	**30**		
1.	Law 503	არ გააჩნია	იურიდიული ინგლისური/სამართლებრივი მართლწერა	6/150				45	105
2.	Law 504	არ გააჩნია	თანამედროვე გამოწვევები საერთაშორისო საჯარო სამართალში	6/150				39	111
3.	Law 505	Law 504	საერთაშორისო სამართლის წყაროები: თეორია და განვითარების პრაქტიკა		6/150			39	111
4.	Law 511	არ გააჩნია	ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი	6/150				39	111
5.	Law 506	არ გააჩნია	კვლევის მეთოდები	6/150				45	105
6.	Law 507	არ გააჩნია	სამოსამართლო ეთიკა	6/150				39	111
7.	Law 508	Law 505 Law 507	სასწავლო პრაქტიკა			15/375		65	310
			არჩევითი სავალდებულო სასწავლო კურსები თემატური ჯგუფები:		**24[1]**				
			ა. ადამიანის უფლებები						
7.	Law 509	Law 511	სამართლებრივი უნარების განვითარების კურსი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში		6/150			39	111
8.	Law 510	Law 511	ადამიანის უფლებათა სამართალი და პრაქტიკა: სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები		6/150			39	111
			ბ. საერთაშორისო ორგანიზაციები						
10.	Law 512	Law 504	უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი და პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით		6/150			39	111

[1] სტუდენტი ვალდებულია თითოეული თემატური ჯგუფიდან აირჩიოს ერთი სასწავლო კურსი.

11.	Law 513	Law 504	რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი და პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით		6/150			39	111
			გ. საერთაშორისო სისხლის სამართალი						
12.	Law 514	Law 504	საერთაშორისო სისხლის სამართალი საერთაშორისო მართლმსაჯულების პრაქტიკაში		6/150			39	111
13.	Law 515	Law 504	ძალის გამოყენება და აგრესიის აკრძალვა საერთაშორისო სამართალში		6/150			39	111
14.	Law 516	Law 504	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი		6/150			39	111
			დ. ევროკავშირის სამართალი						
15.	Law 517	Law 504	ევროკავშირის სამართალი: იუსტიციის, უსაფრთხოებისა და შინაგან საქმეთა საკითხები (Justice and Home Affairs)		6/150			39	111
16.	Law 518	Law 504	ევროკავშირის სამართალი		6/150			39	111
			არჩევითი სასწავლო კურსები			**15**			
17.	Law 630	Law 505	საერთაშორისო სახელშეკრულებლო სამართალი			6/150		39	111
18.	Law 640	არ გააჩნია	საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი			6/150		39	111
19.	Law 625	არ გააჩნია	საერთაშორისო სავაჭრო სამართალი			5/125		39	86
20.	Law 800	არ გააჩნია	ევროკავშირის შიდა ბაზრის სამართალი			5/125		39	86
21.	Law 810	არ გააჩნია	საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალი			6/150		39	111
22.	Law 610	არ გააჩნია	შედარებითი სახელშეკრულებლო სამართალი			6/150		39	111
23.	Law 900	არ გააჩნია	გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი			5/125		39	86
24.	Law 820	არ გააჩნია	საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრაქტიკული ასპექტები			6/150		39	111
25.	Law 670	არ გააჩნია	შედარებითი კორპორაციული სამართალი			6/150		39	111
26.	Law 680	არ გააჩნია	შედარებითი საკონსტიტუციო სამართალი			6/150		39	111
27.	Law 620	არ გააჩნია	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი			6/150		39	111
28.	Law 900	არ გააჩნია	ინტერნეტ სამართალი			5/125		39	86
29.	Law 695	არ გააჩნია	ვილემ ს. ვისის სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული პროცესი			6/150		50	100

30.	Law 700	Law 504; Law 505	ფილიპ ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესი			6/150		50	100
31.	Law 710	Law 504; Law 505	Telders International Law Moot Court Competition - ტელდერსის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესი			6/150		50	100
			კვლევითი კომპონენტი[2]						
32.	Law 690	90 ECTS[3]	სამაგისტრო ნაშრომი				30/750		
			კრედირების რაოდენობა სემესტრების მიხედვით	30	30	30	30		
			სულ	120					

<u>სწავლის შედეგების რუკა</u>

პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვრა სამდონიანი ცოდნის იერარქია: I, D, M, საიდანაც I აღნიშნავს მოცემული საგნის გასვლას გაცნობით დონეზე (Introduction), D აღნიშნავს განვითარებას (Developement), M აღნიშნავს განმტკიცებას (Master).

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, თითოეული შედეგის გასწვრივ მოცემულია ნიშნულების სვეტი, მითითებული პროცენტული მაჩვენებელი ასახავს საგანში დადებითი ნიშნის მიღების მიზნობრივ ნიშნულს. დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის 15%-ს შეადგენს.

კურიკულუმის რუკა

სასწავლო კურსი	**პროგრამის სწავლის შედეგები**						
	(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)
იურიდიული ინგლისური/სამართლებრივი მართლწერა				I	I	I	

[3] სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის შესასრულებლად სტუდენტს დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 90 ECTS კრედიტი და მათ შორის გავლილი უნდა ჰქონდეს ყველა სავალდებულო, ასევე პროგრამი სტრუქტურით გათვალისიწნებული სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები.

თანამედროვე გამოწვევები საერთაშორისო საჯარო სამართალში	I	I	I	I	I	I	I
კვლევის მეთოდები					I	I	
სამოსამართლო ეთიკა	I					I	I
ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი	I	I	I	I	I	I	I
საერთაშორისო სამართლის წყაროები: თეორია და განვითარების პრაქტიკა	D	D	D	D	D	D	D
არჩევითი სავალდებულო სასწავლო კურსები:							
სამართლებრივი უნარების განვითარების კურსი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში	D	D	D	D	D	D	D
ადამიანის უფლებათა სამართალი და პრაქტიკა: სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები	D	D	D	D	D	D	D
უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი და პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით	D	D	D	D	D	D	D
რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი და პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით	D	D	D	D	D	D	D
საერთაშორისო სისხლის სამართალი საერთაშორისო მართლმსაჯულების პრაქტიკაში	D	D	D	D	D	D	D
ძალის გამოყენება და აგრესიის აკრძალვა საერთაშორისო სამართალში	D	D	D	D	D	D	D
საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	D	D	D	D	D	D	D
ევროკავშირის სამართალი: იუსტიციის, უსაფრთხოებისა და შინაგან საქმეთა საკითხები (Justice and Home Affairs)	D	D	D	D	D	D	D
ევროკავშირის სამართალი	D	D	D	D	D	D	D
სასწავლო პრაქტიკა		M	M		M	M	M
სამაგისტრო ნაშრომი	M	M	M	M	M	M	M

დანართი

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	ირაკლი სოკოლოვსკი			
თანამდებობა	სამართლის და პოლიტიკის სკოლის სამართლის საბაკალავრო და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი			
სამუშაო ადგილი	ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	+(995) 599 583 353	ელ-ფოსტა:	i.sokolovski@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	დისერტაციის სათაური: „ხელშეკრულებების დადება“; 2006			
პუბლიკაციები	-Report on the Aviation Legislative Framework of Georgia prepared in cooperation with IATA and Ministry of Economic and Sutainable Development of Georgia in 2016. -Regulatory Impact Assessment Report in relation to Draft Law on Entrepreneurs prepared in cooperation with ISET and GiZ in 2017. -Current Issues of the competition policy. The presentation at the conference organized by G4G, USAID and Competition Agency of Georgia on 24 April 2016 -The Antitrust Aspects of Antidumping Legislation. The presentation at the conference organized by G4G, USAID and Legal Education Centre on 23 December 2016 -The Coordinated Actions and Parallelism in Completion Law. The presentation to be delivered at 6th Business Law Conference to be held on 16-17 December 2017 - Impact assessment of the Draft Law on Insolvency of Georgia; Preparing the draft of the RIA report, responsible for the legal review of the draft law. 2018			

დანართი # 1

სახელი და გვარი	სტატუსი	საგანი/კვლევითი კომპონენტი
ნინო ხურციძე	მოწვეული ლექტორი	• იურიდიული ინგლისური/სამართლებრივი მართლწერა • თანამედროვე გამოწვევები საერთაშორისო საჯარო სამართალში
თინათინ ერქვანია	პროფესორი/სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი	• საერთაშორისო სამართლის წყაროები: თეორია და განვითარების პრაქტიკა • საერთაშორისო სახელშეკრულებლო სამართალი
ანა ნაცვლიშვილი	პროფესორი	• ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი • ადამიანის უფლებათა სამართალი და პრაქტიკა: სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები
ნანა მაჭარაშვილი	პროფესორი	• კვლევის მეთოდები
ოთარ მაჩაიძე	ასოცირებული პროფესორი/სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი	• კვლევის მეთოდები • საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალი
კახა წიქარიშვილი	პროფესორი	• სამოსამართლო ეთიკა • საერთაშორისო სისხლის სამართალი საერთაშორისო მართლმსაჯულების პრაქტიკაში
თამარ ონიანი	მოწვეული ლექტორი	• სამართლებრივი უნარების განვითარების კურსი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში
თინათინ ერქვანია, ქეთევან არახამია	პროფესორი/სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი, მოწვეული ლექტორი	• უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი და პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით • რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი და პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით

თამარ თომაშვილი	მოწვეული ლექტორი	• საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი
ქეთევან ხუციშვილი	მოწვეული ლექტორი/სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი	• ევროკავშირის სამართალი: იუსტიციის, უსაფრთხოებისა და შინაგან საქმეთა საკითხები (Justice and Home Affairs) • ძალის გამოყენება და აგრესიის აკრძალვა საერთაშორისო სამართალში
ანა ნაცვლიშვილი	პროფესორი/სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი	• ევროკავშირის სამართალი
ვასილ კენკიშვილი	მოწვეული ლექტორი	• საერთაშორისო სავაჭრო სამართალი
გიორგი ხატიძე	ასოცირებული პროფესორი/სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი	• ევროკავშირის შიდა ბაზრის სამართალი • საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი
ნინო თანდილაშვილი	ასისტენტ პროფესორი	• გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი
გიორგი სვანაძე	მოწვეული ლექტორი/სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი	• საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრაქტიკული ასპექტები
ირაკლი სოკოლოვსკი	პროფესორი/სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი	• შედარებითი კორპორაციული სამართალი • შედარებითი სახელშეკრულებლო სამართალი
ლევან ნანობაშვილი	მოწვეული ლექტორი	• ინტელექტუალური საკუთრების სამართალი • ინტერნეტ სამართალი
ანა ნაცვლიშვილი თინათინ ერქვანია	პროფესორი პროფესორი/ სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი	• ვილემ ს. ვისის სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული პროცესი • ფილიპ ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესი • Telders International Law Moot Court Competition - ტელდერსის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესი
თამარა ალექსიძე	მოწვეული ლექტორი	• შედარებითი საკონსტიტუციო სამართალი